პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 4 ნოემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

251 (949) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. ნ. სტრ

## მონარქიის ჩამოგდება სპარსეთში.

ამ უკანასკნელ დღეებში სპარსეთში მოხდა დიდი მნიშვნელობის ისტორიული ამბები. 31 ოქტომბერს სპარსეთის მეჯლისმა შაჰი გადაყენებულად გამოაცხადა. სპარსეთის მონარქიას ბოლო მოეღო. იმავე სხდომაზე მეჯლისმა დროებით მმართველად დამფუძნებელ კრების მოწვევამდე დანიშნა პირველი მინისტრი რიზა ხანი. მასვე ჩააბარა მთელი შეიარაღებულ ძალების მთავარ სარდლობა.

შაჰის ჩამოგდებით სპარსეთის ისტორიაში იწყება ახალი ხანა. სპარსეთის ხალხი განთავისუფლდა კაჯარების დინასტიის (შაჰის გვარი) უპასუხისმგებლო ბატონობისაგან, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სჩაგრავდა მას და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყიდდა მის ინტერესებს.

სპარსეთის მოწინავე ჯგუფებმა დიდი ხანია ბრძოლა გამოუცხადეს შაჰის ბატონობას. მაგრამ შაჰი განაგრძობდა მეფობას, ვინაიდან მას მხარს უჭერდენ მსხვილი ფეოდალები (ბატონი-მემამულეები), სასულიერო წოდება და ინგლისის იმპერიალიზმი.

ეს უკანასკნელი დიდათ სარგებლობდა შაჰით. ინგლისელ მტაცებლებმა ფულით და სხვა ხრიკებით თავის გავლენის ქვეშ ჩაიგდეს შაჰი და დაუწყეს სპარსეთს უმოწყალოდ ძარცვა და ყვლეფა. მათ დაიტაცეს საუკეთესო ნავთის წყაროები და სხვა მდიდარი რაიონები. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ხალხის უკმაყოფილება ერთი ორად გაიზარდა. ამ ანტი-მონარქისტულ მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ევროპაში კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ შაჰიმ დაპირა უკან დაბრუნება. მეჯლისი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ხალხის სურვილისათვის და კაჯარების დინასტია ტახტიდან გადააყენა.

დროებით მმართველად დაინიშნა რიზა-ხანი, ადამიანი რომელმაც ბევრი ღვაწლი დასდო სპარსეთის ეროვნული დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

შაჰის ჩამოგდებით საფუძველი ეცლება ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკას და მის უპასუხისმგებლო ბატონობას სპარსეთში. ინგლისის კაპიტალისტები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ გადაეკიდათ სპარსეთი ჩვენთან, მაგრამ ამაოდ. საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. სპარსეთის სათავეში მოექცენ ისეთი პირები, რომლებიც კარგი ხანია დარწმუნდენ მასში, რომ ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც კარგი სურს სპარსეთის მშრომელი ხალხისათვის-არის საბჭოთა კავშირი. ესენია რიზა ხანი და მისი მიმდევრები. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ შაჰის ჩამოგდებით ეს კეთილ მეზობლური დამოკიდებულება ჩვენსა და სპარსეთს შორის კიდევ უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება. სპარსეთის ხალხი დაადგა ისტორიული წინსვლის გზას.

ვუსურვებთ მას ამ გზით გამარჯვებას.

## პარტ-განათლების სკოლების შესახებ.

პარტ-განათლების სკოლების სათანადოთ მოწყობას წითელ არმიაში აქვს უდიდესი მნიშვნელობა წითელ არმიელთა შორის მყოფ კომპარტიისა და კომკავშირის წევრთა ლენინისტურად აღზრდისა და გათვითცნობიერების დარგში.

როგორც ვიცით ჯერ კიდევ ა.-წ. დასაწყისში ქართ. დივიზიების პოლიტ-განყოფილებების მიერ გამოცემულ იქნა სათანადო დადგენილება წითელ არმიაში პარტ-განათლების სკოლების ჩამოყალიბებისათვის. ამავე ორგანოების მიერ გამოცემულ იქნა პარტ-განათლების სკოლების პროგრამებიც, თავისი ახსნა-განმარტებით.

ჩვენ აქ ამ ჟამად არ შევეხებით თუ როგორი მუშაობა იყო ამ დარგში დღემდე. ამ წერილში ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ ცოტა რამ მომავალი მუშაობის შესახებ.

ზამთრის პერიოდი უკვე დაწყებულია. სწორედ ამ პერიოდში შესაძლებელი ხდება ნაწილები შეუდგენ ნორმალურ მეცადინეობას პარტ-განათლების დარგშიდაც. ნაწილების მესვეურებმა და მისმა პოლიტ-მომუშავეებმა აქედანვე უნდა დაიწყონ სამზადისი, რომ ახლო მომავალში შეუდგენ პარტ-განათლების სკოლებისა და ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიის შემსწავლელ წრეების მეცადინეობის დაწყებას. მთელი მომავალი მუშაობა უნდა გამომდინარეობდეს წარსულში მიღებულ პრაქტიკიდან.

ამასთანავე ერთად საჭირო იქნება ჩვენმა ნაწილებმა მთავარი ყურადღება მიაქციონ ახალწვეულთა შორის მყოფ კომპარტიისა და კომკავშირის წევრების ჩაბმას პარტ-საგანმანათლებლო მუშაობაში. ახალწვეულებში ამ წელში საგრძნობი რიცხვი იქნება კომპარტიისა და კომკავშირის წევრებისა, რომელთა პოლიტ-ცოდნის დონე აუცილებლად იქნება დაბალი. ნაწილების პარტორგანოებმა ამ ამხ.-ების მოსვლისთანავე უნდა მოახდინონ მათი აღნუსხვა და შემდეგ კი მიამაგრონ პარტ-განათლების სკოლებსა და ახალგაზრდათა მოძრ. ისტორიის შემსწავლელ წრეებზე.

ამასთანავე ერთად ნაწილების პარტ-ორგანოებმა აქედანვე უნდა გამოყონ თავიანთი რიგებიდან საკმაოდ მომზადებული ამხ.-გები პარტ განათლების სკოლების ხელმძღვანელებად და მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. გარდა ამისა ბიურო კოლექტივებმა აქედანვე უნდა მიიღონ ზომები, რომ თავიანთი ნაწილების სამკითხველოები მოამარაგონ ამ მუშაობისათვის საჭიროა ლიტერატურით, რომ შემდეგში მსმენელებს არ დასჭირდეთ წიგნების ძებნა და მხოლოდ ამისათვის სიარული სხვა და სხვა სამკითხველოებში.

კომკავშირისა და კომპარტიის ყოველი წევრი თავიანთი მხრივ შეეცდებიან გულმოდგინეთ ჩაებან პარტ-განათლების სკოლებისა და ახალგ. მოძრ. ისტორიის შემსწავლელ წრეებში და აღიჭურვებიან საკმაო პოლიტიკური ცოდნით, რომ შემდეგში იმათმა შესძლონ გადაუხრელად სვლა ბოლშევიკური გზით მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებამდე.

ემი.

# ახალი რადიო-ამბები

## სპარსეთის ამბების გარშემო

### რიზა-ხანის დეკლარაცია.

სპარსეთის დროებითი მმართველმა რიზა—ხანმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ის ეცდება სპარსეთის ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

გაცემულია ბრძანება დაბეჭდილ იქნას შაჰის (სპარსეთის ყოფილი მეფე) სასახლეები, სასახლის მუზეუმები და განძეულობათ—საცავი.

მთელ სპარსეთში სამი დღე გამოცხადებულია დღესასწაულად.

## საფრანგეთის გაზეთები სპარსეთის ამბების შესახებ.

სპარსეთის შახის ჩამოგდებას საფრანგეთის გაზეთები დიდ შემთხვევად სთვლიან, რომელიც გავლენას მოახდენს მთელ აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკაზე. ბევრი ფიქრობს, რომ ეს ამბავი გააძლიერებს საბჭოთა კავშირის მნიშვნელობას აზიაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გაზეთი „ტან“-ი ამბობს, რომ სპარსეთის გადატრიალება დასაწყისია სსრკ-ს, სპარსეთისა და ოსმალეთის დაახლოების, სადაც წინააღმდეგ დასავლეთ სახელმწიფოებისა, შეიქმნება აღმოსავლეთ სახელმწიფოების ჯგუფი.

## ბრძოლა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

### დამასკს შიმშილობა მოელის.

ჰავასის სააგენტოს ცნობით აჯანყებულებმა დაიკავეს სოფლები დამასკის გარშემო. დამასკი მოწყვეტილია სოფლებს, საიდანაც ის ღებულობდა ხორბალს.

### ბედუინები აძლიერებენ თავიანთ ძალებს.

ალექსანდრიიდან მიღებულ ცნობით ბედუინის ტომები თავს იყრიან ალეპოსთან, სადაც ადგილობრივ ბედუინების ბელადმა უარი განაცხადა ფრანგებთან მოლაპარაკებაზე.

## ამხ. ფრუნზეს დასაფლავების დღე ტფილისში.

სამშაბათს, 3 ნოემბერს ტფილისის ქუჩები სამგლოვიარო ელფერშია.

თავისუფლების მოედანზე.

დღის პირველი საათიდან თავისუფლების მოედნისაკენ დაიწყო დენა ტფილისის გარნიზონის ჯარის ნაწილებმა, ფაბრ-ქარხკომების და ადგილკომების წარმომადგენლებმა და მოქალაქეებმა.

ჯარის ნაწილებს წინ მიუძღოდათ შავი, სამგლოვიარო ფერებით მოაარშიავებული დროშები.

დღის სწორედ ორსაათზე ზარბაზანმა ქალაქს ამცნო წითელი არმიის საყვარელი ბელადის ნეშტის მიწასთან მიბარება.

ყველა დაწესებულებებზე დაშვებულ იქნა დროშები, გლოვისა და პატივისცემის ნიშნათ. ქარხნის საყვირი სევდიანათ აკივდა. არტილერიამ 10-ჯერ გაისროლა. სალიუტი გაგრძელდა 10 წუთი.

თავისუფლების მოედანზე ლამაზათ ჩამწკრივებულ ჯარების წინ გამოდიან მთავრობის და ჯარის დაწესებულებათა წარმომადგენლები და უკანასკნელ გამოსათხოვარ სიტყვებს ამბობენ განსვენებულის შესახებ.

ამხ. კორკის სიტყვა.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სარდალმა ამხ. კორკმა.

მან აღნიშნა ის დიდი დანაკლისი, რომელიც წილად ხვდა წითელ არმიას და სთქვა რომ წითელი არმია კიდევ უფრო შეამჭიდროებს რიგებს, რათა ღირსეულათ შეასრულოს ამხ. ფრუნზეს ანდერძი.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამხ. მიხა ცხაკაიამ ქართულათ მიმართა წითელ არმიას. ამხ. მიხა ახასიათებს განსვენებულს, როგორც იშვიათ ხელმძღვანელს და დიდი სამხედრო ნიჭის პატრონ ადამიანს. იგი აღნიშნავს, რომ ამხ. ფრუნზეს სახით ჩვენ დავკარგეთ დიდი სახელმწიფო მოღვაწე და საუკეთესო-პარტიული ამხანაგი.

ამხ. მიხა ცხაკაიას შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამხ. აღამალი-ოღლიმ.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა.

ამხ. აღამალი-ოღლის შემდეგ ლაპარაკობს ამხ. შ. ელიავა.

ორატორი აღნიშნავს სამოქალაქო ომების პერიოდს და წითელი არმიის დამსახურებას მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე. იგი ამბობს რომ წითელი არმია იმიტომ გამოდიოდა ყველგან გამარჯვებული, რომ მას ამხ. ფრუნზესებური ხელმძღვანელები ყავდენო.

ილაპარაკა აგრეთვე ამხ. ლუკაშინმა და საბოლოო სიტყვა სთქვა ამხ. კორკმა, რის შემდეგაც სამგლოვიარო ალლუმი „ინტერნაციონალით“ დასრულდა.

## სამგლოვიარო დღეები უკრაინაში.

უკრაინის ყველა ქალაქებიდან მოდის ცნობები იმ ღრმა შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მოახდინა მშრომელ მოსახლეობაზე ფრუნზეს გარდაცვალებამ.

ყველა ქალაქებში დაიკეტა თეატრები.

გამოვიდა სასწრაფო გაზეთები. გაიმართა რამოდენიმე სამგლოვიარო კრება.

### უკანასკნელ სისხლის წვეთამდი.

სირიის მოსახლეობა მეტად აღელვებულია ფრანგების მიერ დამასკის დანგრევით და მზადაა დაეხმაროს დრუზებს, რომელთა ძალები უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაიზარდა აჯანყებულ არაბთა ტომების შემოერთების გამო. სირიის მოსახლეობამ ფიცი დასდო იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდი, სანამ ფრანგები არ გაიდევნებიან მათი ქვეყნიდან.

ოსმალეთის გაზეთები აღფრთოვანებით იხსენიებენ დრუზებისა და სირიელების გმირულ მოქმედებას.

## მოწოდება

მოლდავიის ცაკმა, პარტიის საოლქო კომიტეტმა და პროფკავშირთა საბჭომ ფრუნზეს გარდაცვალების გამო გამოუშვა მოწოდება მოლდავიის მოსახლეობისადმი.

# ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო სხდომა მოსკოვის დიდ თეატრში.

2 ნოემბერს დიდი თეატრის დარბაზში (მოსკოვში) მოხდა სსრკ-სა და რსფსრ-ს ცაკის, სსრკ-სა და რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, სსრკ-ს რევსამხსაბჭოს, მოსკოვის საბჭოს, სრულიად საკავშირო პროფსაბჭ. მოსკოვის პროფსაბჭოს, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, რკპ-ს (ბ) ცეკასა და ცენტ. საკონტროლო კომისიის, რკპ-ს მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტრ. კომისიის, კომკავშირის ცეკას და წითელი არმიის ნაწილების წარმომადგენელთა სამგლოვიარო სხდომა ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

ამხ. კალინინმა დაახასიათა ფრუნზეს მოღვაწეობა და დასასრულ განაცხადა: „ფრუნზემ პატიოსნად შეუდარებლად გაიარა თავისი ცხოვრების გზა. დღე, მიწა მისთვის ბუმბული იყოს.

დიდ, მისი ცხოვრება მაგალითი იყოს ახალგაზრდა ამხანაგებისათვის“.

**ამხ. კამენევის სიტყვა.**

რკპ-ს ცეკას და სსრკ-ს მთავრობის სახელით გამოდის კამენევი, რომელიც ამბობს:

„ფრუნზეს ცხოვრება რუსეთის მუშათა კლასის, პროლეტარულ აჯანყებათა და პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიაა. მისი ბიოგრაფია მუშათა კლასის ბიოგრაფიაა. მისი გამარჯვება მუშათა კლასის გამარჯვებაა. მის ღია საფლავის წინაშე ჩვენ ვეუბნებით ჩვენი კავშირის პროლეტარებს: მაღლა პროლეტარული დროშები. ჩვენ ვეუბნებით წითელ არმიას: მაგრად გეჭიროთ შაშხანა ხელში ამხანაგო წითელ არმიელებო! ბრძოლები—წინაა“.

**ამხ. უნშლიხტის სიტყვა.**

„წითელი არმია ფიცს სდებს განაგრძოს თავისი ბელადის ფრუნზეს საქმე მუშურგლეხური წითელი არმიის აღმშენებლობისა და გაძლიერების საქმეში“.

**ამხ. ტომსკის სიტყვა.**

„კიდევ ერთი დანაკლისი ლენინის გვარდიის რიგებში. ერთი მეორეზე მიდიან საფლავში ძველი მებრძოლები ლენინის ძლევამოსილი გვარდიისა. ჩვენი ამოცანაა უფრო ენერგიულად გამოვყოთ პროლეტარიატის მოწინავე რიგებში ახნე მეომრები, აღვზარდოთ პროლეტართა ახალი ძალები, მოვამზადოდ ისინი სახელმწიფოს ხელმძღვანელობისთვის“.

**ამხ. პეტროვსკის სიტყვა.**

პეტროვსკი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ფრუნზეს ხსოვნა სამუდამოდ იცოცხლებს უკრაინის მუშებსა და გლეხებს შორის.

შემდეგ ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით გამოდის კრინიცკი, მოსკოვის სხვა და სხვა ორგანიზაციების სახელით ბასანოვი, მუშა ქალი კუკანი, აქვსენტიევსკი და სხვა. კრების დასასრულ სიტყვას ამბობენ ძველი ბოლშევიკების საზოგადოების წარმომადგენლები.

**მიტინგები.**

1-ლ ნოემბერს მთელ მოსკოვში კლუბებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, კინო-თეატრებში და უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართა მიტინგები ფრუნზეს ხსოვნის საპატივცემოდ.

**თანაგრძნობის დეპეშები სსრკ-ს რესპუბლიკებიდან.**

სსრკ-სა და რსფსრ-ს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო თანაგრძნობის დეპეშები უკრაინის, უზბეკისტანის, ტანჯიკისტანის, გერმანელთა რესპუბლიკის, ბელორუსიის, აზერბეიჯანის, დაღესტანის, აჭარისტანის და ყაზახისტანის მთავრობებისაგან.

**თანაგრძნობის დეპეშა ფრუნზეს ოჯახს.**

კალინინის წინადადებით სრულიად რუსეთის ცაკმა გაუგზავნა ფრუნზეს ოჯახს თანაგრძნობის დეპეშა.

**ფრუნზეს ცხედარზე.**

1-ლ ნოემბერს ფრუნზეს ცხედარი შემკობილ იქნა გვირგვინებით რკპ-ს ცეკას, რკპ-ს მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციების მიერ.

**უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა თანაგრძნობა.**

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლიტვინოვმა მიიღო თანაგრძნობის წერილები საფრანგეთის ელჩისაგან, გერმანიის რწმუნებულისაგან, ჩინეთის დიპლომატიური მისიის თავმჯდომარისაგან, ავსტრიის წარმომადგენლისაგან, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, საბერძნეთის და ლიტვის დიპლომატიური მისიის რწმუნებულებისაგან.

**ქემალ-ფაშას დეპეშა.**

სსრკ-ს ცაკის თავმჯდომარემ კალინინმა მიიღო მუსტაფა-ქემალ-ფაშასაგან თანაგრძნობის დეპეშა:

„ღრმა მწუხარება გამოიწვია ჩემში ცნობამ ჩვენი პატივცემული მეგობრის—ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ. ოსმალეთის ხალხი სავსებით იზიარებს საბჭოთა კავშირის ხალხის ვარამს. გიცხადებთ ღრმა თანაგრძნობას.

გაზი მუსტაფა-ქემალი“.

**კანტონის არმიის გენერალისიმუსი ფრუნზეს ცხედართან.**

2 ნოემბერს მოსკოვში მყოფმა კანტონის არმიის გენერალისიმუსმა ხუ-ხან-მინმა კანტონის დელეგაციის წევრებთან ერთად ინახულა კავშირთა სახლი, სადაც ესვენა ფრუნზეს ცხედარი.

# საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი.

## ბანკეტი სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.

30 ოქტომბერს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში პარიზში გაიმართა ბანკეტი საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის ერთი წლის თავის გამო.

რაკოვსკის, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის, სავაჭრო წარმომადგენლობის და საკონსულოს წევრებს გარდა, ბანკეტს დაესწრენ მინისტრები დე-მონზი და დელმონსი, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ერიო, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბერტოლო, რომელიც გამოცხადდა ბრიანის მაგიერ, უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, დეპუტატთა პალატის რუსეთ-საფრანგეთის საზოგადოების ჯგუფის თავმჯდომარე ფილიპიოტო, პროფესორები ლანჟევანი და ლევი პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები და სხვ.

პენლევემ გამოგზავნა წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ მას არ შეუძლია დასწრება სადილზე, რადგან ძალიან დატვირთულია მუშაობით.

**რაკოვსკის სიტყვა.**

სიტყვები წარმოსთქვეს რაკოვსკიმ და დე-მონზიმ.

რაკოვსკიმ ადღეგრძელა ერიო, პენლევე და დე მონზი, რომლებმაც პირველად იზრუნვეს საბჭოთა კავშირის ცნობის საქმეზე და თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მიუხედავად დაბრკოლებებისა ცნობის პირველი წლის დასასრულს უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები ორივე ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობაში. შემდეგ რაკოვსკიმ გამოსთქვა იმედი, რომ სოციალურ და პოლიტიკურ წესწყობილების სხვადასხვაობა არ შეუშლის ხელს საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის დაახლოვებას და დასასრულ დასძინა, რომ ის განაგრძობს კრასინის მუშაობას იმ იმედით, რომ წარმატებით დაამთავრებს მოლაპარაკებას საფრანგეთთან.

**დე-მონზის საპასუხო სიტყვა.**

თავის საპასუხო სიტყვაში დე-მონზი ლაპარაკობს, რომ რაკოვსკის საშუალება ჰქონდა წინად კარგად გასცნობოდა საფრანგეთს. შემდეგ დე მონზი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ და ორივე სახელმწიფოს დაახლოვება აუცილებელია მშვიდობიანობის დასამყარებლად ევროპაში, და იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის რეალურად იქნება აღდგენილი ურთიერთობა და განახლდება მეგობრობა ორივე სახელმწიფოს შორის.

# სამხედრო საქმე.

## საჰაერო შპიონაჟი.

როგორც ვიცით, იმპერიალისტური ომის დროს გერმანია წარმატებით იბრძოდა მოკავშირე სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც გარსშემორტყმია მას ყოველ მხრივ. ომის პირველი დღეებიდანვე გერმანიის იარაღის წარმატებამ შექმნა ფრონტები (სამხედრო მოქმედების ასპარეზი) სხვის მიწებზე, უცხო მოსახლეობის შორის—საფრანგეთში, რუსეთში, იტალიაში და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ფრანგებმა ისარგებლეს იმით, რომ გერმანელებს ზურგში ჰყავდათ მტრულად განწყობილი მოსახლეობა.

რომ გაეგოთ, თუ რას აკეთებდენ გერმანელები, ფრანგებმა მოაწყვეს საჰაერო შპიონაჟი. ამ მიზნით იმათ გადასხეს თავიანთ ჰაეროპლანებიდან გერმანიის ფრონტის ზურგში ჯაშუშები. დასმენათა გასაგზავნად ჯაშუშებს აძლევდენ საფოსტო მტრედებს. ჯაშუშების გადასხმა სწარმოებდა ჩვეულებრივად ღამით მიყრუებულ ადგილებში, სადაც არ იყო გერმანელების ჯარები. აქედან ჯაშუში შეიპარებოდა საბრძოლო ზონაში. მეტ ნაწილად ჯაშუშებს აგროვებდენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომლებმაც გერმანიის შეტევის დროს ფრანგებთან ერთად უკან დაიხიეს. ეს პირები კარგად იცნობდენ იმ ადგილმდებარეობას, სადაც ისინი გადაჰყავდათ საჯაშუშო მუშაობისთვის. ხშირად ფრანგების ჰაეროპლანები სცდილობდენ წაეყვანათ უკანვე გადასხმული ჯაშუშები იმის შემდეგ, როცა ისინი შეასრულებდენ მუშაობას, მაგრამ ეს მეტად საფრთხილო იყო და ამიტომ ასეთი ცდები იშვიათად უმართლდებოდათ. გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს რამოდენიმე ჯაშუში და ჰაეროპლანების ერთი ნაწილი. მაგრამ ბევრი ჯაშუში მაინც განაგრძობდა მუშაობას.

ჯაშუშების ასეთი გადასხმა მაინც იწვევდა დიდ ზარალს საფრანგეთის მფრინავ აპარატებში, ვინაიდან თვითმფრინავებს ადვილად ამჩნევდენ მანქანისს ხმაურობის გამო. ამიტომ ფრანგებმა მიმართეს ახალ ხერხს. იმათ დაიწყეს ერთგვარი საჰაერო „ბუშტების“ მზადება. თვითეულ ასეთ ბუშტს აჰყავდა თითო კაცი და ქარის მიმართულებით შეეძლო 40—50 კილომეტრის გაფრენა. ეს ბუშტები თავიანთი სიპატარავის გამო (8 ნახ. მეტრი დიამეტრი) ძნელი შესამჩნევი იყო ხოლო რაც მთავარია, უხმაუროდ მიფრინავდენ; ამრიგად ჯაშუშს შეეძლო ჩამოშვებულიყო ღამით უვნებლად და არ ჩავარდნოდა ხელში გერმანელებს. ამ ჯაშუშებს თან ჰყავდათ მტრედები.

შემდეგში ფრანგებმა დაიწყეს ჯაშუშების გადასხმა ჰაეროპლანებიდან პარაშუტებით. პარაშუტი ისეთი ხელსაწყოა (ქოლგა), რომლის შემწეობითაც ადამიანს ნელ-ნელა შეუძლია დაეშვას მიწაზე.

ჰაეროპლანზე ბორბლებს შორის კუდთან აწყობდენ ერთგვარ ყუთს, სადაც ჩაჯდებოდა ჯაშუში პარაშუტით.

ყუთის ძირი გაიხსნებოდა თითის დაჭერით და ჯაშუში გამოვარდებოდა ქვეშ, მასზე მიმაგრებული პარაშუტი გაიხსნებოდა და ჯაშუში ნელ-ნელა დაეშვებოდა მიწაზე. გერმანელებმა დაიჭირეს რამოდენიმე ასეთი ჯაშუში და იპოვნეს კიდეც ერთი დამსხვრეული, ვინაიდან მისი პარაშუტი უვარგისი გამოდგა. პარაშუტით ჯაშუშების გადასხმა უფრო ხელსაყრელი გამოდგა, ვინემ ჰაეროპლანიდან, ვინაიდან ნაკლებ შესამჩნევი ხდებოდა.

პ.

(დასასრული იქნება)

# ოქტომბრის გადატრიალება.

(წერილი მეორე)

**18 ივნისი და ივლისის დღეები პეტერბურგში.**

ბოლშევიკების პარტია ენერგიულად შეუდგა დროებითი მთავრობის პოლიტიკის გამოაშკარავებას, რომელშიაც (მთავრობაში) ეხლა უკვე შედიოდენ სოციალისტებიც კერენსკის მეთაურობით.

ბოლშევიკები უმტკიცებდენ მუშებს, რომ დროებითი მთავრობა სანდო არაა, რომ ის ამბობს ერთს და აკეთებს მეორეს, რომ კაპიტალისტები მენშევიკებთან და ესერებთან ერთად განაგრძობენ განმანადგურებელ ომს და მიჰყავთ რევოლიუცია დაღუპვისაკენ.

ხალხის უნდობლობა დროებითი მთავრობისადმი იზრდებოდა. გლეხებმა ვერ მიიღეს მიწა, მუშები შიმშილობდენ, ჯარის-კაცები ლპებოდენ სანგრებში, ღვრიდენ სისხლს კაპიტალისტების ინტერესებისათვის, მთავრობა კი, კვლავ გაიძახოდა: „ომი საბოლოო გამარჯვებამდი!“

მშრომელთა თანაგრძნობა ბოლშევიკებისადმი თან და თან იზრდებოდა. მაგრამ შემთანხმებელთა მთავრობას ეს არ სჯეროდა და 18 ივნისს მან გადასწყვიტა ჩაეტარებია პეტერბურგში რევოლიუციონურ ძალთა გასინჯვა. დემონსტრაციას უნდა ეჩვენებია—ვისკენ იყვენ მუშები, გლეხები და ჯარის-კაცები.

თავზარი დაეცა დროებითი მთავრობას, როცა დაინახა, მუშებისა და გლეხების რიგები ბოლშევიკების ლოზუნგით მომავალი:

**„მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!“ „ძირს მინისტრ-კაპიტალისტები!“ — „მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს!“**

ამ დემონსტრაციამ ისინი დაარწმუნა, რომ მშრომელები მიჰყვებიან ბოლშევიკებს. მთავრობამ გადასწყვიტა შეესუსტებია ბოლშევიკების გავლენა რაიმე გამარჯვებით ფრონტზე. მან დაიწყო შეტევის მოწყობა ავსტრიის ფრონტზე, მაგრამ დამარცხდა.

ჯარის-კაცები მოითხოვდენ პეტერბურგის საბჭოში ზავის ჩამოგდებას და მხარს უჭერდენ ბოლშევიკებს. მოითხოვდენ საბჭოსაგან ხელში აეღო მას ძალა-უფლება.

ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს მოეწოდებიათ მასსებისთვის—მშვიდობიან გამოსვლებისაკენ მოთხოვნილებით გადაეცათ მთელი ძალა-უფლება საბჭოებისათვის.

სამიდან ხუთ ივლისამდე პეტერბურგში მიდიოდა დიდი დემონსტრაციები. მთავრობა შეშინდა და მოძრაობის ჩასაქრობად გამოიწვია ჯარები ფრონტებიდან. იყო სისხლის ღვრაც. ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს დემონსტრაციის შეწყვეტა.

ბოლშევიკურ პარტიას, ლენინის ხელმძღვანელობით, კარგად ესმოდა დრ. მთავრობის ოინები, რომელსაც სურდა უდროოდ გამოეწვია გამოსვლები და შემდეგ ადვილად ჩაეხშო. მაგრამ კაპიტალისტებს ეს არ გაუმართლდათ.

**ბოლშევიკების დევნა.—სიკვდილით დასჯა ფრონტზე.**

ივლისის დღეების შემდეგ, როცა მუშებმა გლეხებმა და ჯარისკაცებმა ცოტათი დაიხიეს, რათა მომზადებულიყვნენ გადამწყვეტი ბრძოლისთვის, მთავრობამ ისარგებლა ომით და დაუწყო დევნა მუშათა კლასის ბელადებს. ლენინი და ზინოვიევი იძულებული შეიქნენ დამალულიყვნენ, ტროცკი და სხვები დაიჭირეს და ციხეში ჩააწყვდიეს. ფრონტზე სოციალისტი კერენსკი აწარმოებდა სიკვდილით დასჯას.

მაგრამ ბოლშევიკების პარტია უფრო გაძლიერდა.

ამავე დროს მენშევიკებმა და ესერებმა თანდათან დაჰკარგეს თავიანთი გავლენა.

**ოქტომბრის გადატრიალება.**

სწარმოებდა გაძლიერებული მზადება გადამჭრელი ბრძოლისათვის კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ. ეწყობოდა წითელი გვარდიის რაზმები, არსდებოდა სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტები. ჯარის-კაცებმა დაიწყეს ფრონტებზე დაძმობილება გერმანელ და ავსტრიელ ჯარის-კაცებთან. მთელი ფრონტი მომხრე იყო მუშებისა და გლეხების აჯანყებისა კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ცხოვრება გაჭირდა. ქვეყნის ყოველ მხრიდან ისმოდა კვნესა, მშრომელები დარწმუნდენ, რომ ხსნა მხოლოდ ბურჟუაზიის ჩამოგდებაშია.

ქვეყანა მზად იყო ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ლენინმა მთელი თავისი პარტიით წაიყვანა მუშებისა და გლეხების მრავალ-მილიონიანი მასები იერიშზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

და ღამით 24-დან და 25 ოქტომბერს დაემხო ჩაგვრა და მონობა. კაპიტალიზმი რუსეთში დაეცა. გამარჯვება მიღწეულ იქნა.

მოხდა დიდი ოქტომბრის გადატრიალება.

დერევენსკი.

„კრ. ვ.“

# ველით ახალწვეულებს.

**1-ლი ქართ. ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონი დიდი გაფაციცებით ემზადება ახალწვეულების შესახვედრად. ამ ჟამად აქეთკენ არის მთელი ყურადღება გადატანილი. მეთაურები, პოლიტხელები და ძველი წ. არმიელები, ყველა მეცადინეობს, ყველა თავისებურად ემზადებიან. ყაზარმები ირთვება ათასგვარი ლოზუნგებით და პლაკატებით, მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა პოლიტწრის სამზადისი. ყველა ლოზუნგები თითქმის მისი შემუშავებულია. თავის შემადგენლობიდან წრემ გამოჰყო რამოდენიმე ამხანაგები ახალწვეულებში შესაფერი მოხსენებების ჩასატარებლად. ამასთანავე მათ დაევალათ პოლიტწრის სახელით გააცნონ ახლად მოსულებს ლეგიონის შინაური ცხოვრება და სხვა.

ახკორი ი. ზუმბაძე.

# მე-5 ტერლეგიონის ბიბლიოთეკა.

საერთო შეკრების დამთავრების შემდეგ ჩვენი ბიბლიოთეკა გადატანილი იქნა ისევე ძველ საზამთრო ბინაზე და შესაფერად მოეწყო. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამხედრო, პოლიტიკური და სამეურნეო კუთხეები. ყველა კუთხე შესაფერისი პლაკატებით და ლოზუნგებითაა გალამაზებული. ბიბმომუშავეები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ და სცდილობენ რაც შეიძლება მიიზიდონ მკითხველ არმიელთა მასა.

უნდა ითქვას, რომ ბიბლიოთეკას მკითხველების საკმაო რიცხვი ყავს. გარდა წითელ არმიელების და უფპოლიტ შემადგენლობისა წიგნებით სარგებლობენ ქუთაისის საქსოვ ქარხნის უჯრედის წევრები, კომკავშირელები და ტროცკის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის წევრები.

ამრიგად ბიბლიოთეკა აღწევს მიზანს. საჭიროა მხოლოდ, რომ ბიბლიოთეკაში შეიძინ დენ წიგნების კატალოგს, რაც საგრძნობლად გაადვილებს საქმეს.

სამხკორი ვართანოვი.

# როგორ ვცხოვრობთ.

**ცხენ. ლეგიონი.**

აღნიშნული ლეგიონის ერთი ნაწილი სრულიად დაცილებულია ლეგიონიდან და ცხოვრობს ერთ-ერთ მაზრაში. მიუხედავად ცენტრიდან დაცილებისა ნაწილში სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველგვარი მეცადინეობა. ყოველდღიურად გავდივართ ვარჯიშობას ხტომას, სირბილს შემდეგ კი იწყება ცხენებზე მეცადინეობა. ყოველდღიურად ტარდება ნაწილში იგრეთვე პოლიტმეცადინეობა, რომელიც თავდება სხვა და სხვა შეკითხვებით. ყველა ამხანაგები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შეკითხვებზე პასუხის გაცემით. საერთოდ ნაწილის მთელი შემადგენლობა გულმოდგინეთ მეცადინეობს და ცდილობენ არ ჩამორჩენ მუშაობაში ლეგიონს.

წ. არმ. პ. კახიძე.

# ყურადღება გვექცევა.

**სამხედრო ჰოსპიტალი.**

სამხედრო ჰოსპიტალში ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება გვექცევა ავადმყოფებს.

ყველაფერი თავის დროზე და წესრიგით გვეძლევა.

ექიმები ხშირად მოდიან და გვათვალიერებენ, რაც დიდ კმაყოფილებას იწვევს ავადმყოფ წ. არმიელებში. საავადმყოფოს მთელი შემადგენლობა პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. ამას გარდა ხშირად გვნახულობენ აგრეთვე საავადმყოფოს სამხედრო კომისარი და მორიგე მეთაური. ისინი გვეკითხებიან თუ რა გვესაჭიროება, ხომ არავინ გვაწუხებს და სხვა. ყოველგვარ არანორმალური მოვლენის წინააღმდეგ ფიცხლად ღებულობენ საჭირო ზომებს.

სამხკორი ა. გვენეტაძე.

# მოვაწყვეთ ლენკუთხე.

**მე-3 ლეგსკოლა,**

სამი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც მანევრებიდან დავბრუნდით. ამხნის განმავლობაში უბინობის გამო ვიმყოფებოდით დროებით ბინაზედ, რის გამო ლენკუთხის მოწყობა ვერ შევსძელით.

საზამთრო ბინაზედ გადმოსვლის შემდეგ უპირველესი ყურადღება მიექცა ლენკუთხის მოწყობას. პოლიტხელებისა და კურსანტების ენერგიული დახმარებით მოვაწყვეთ ლენკუთხე. კუთხის დაარსებამ გამოაფხიზლა სკოლის კურსანტები. ლენკუთხის დაარსებიდან ერთად ლეგსკოლაში დაარსდა სხვადასხვა წრეები, რომლებიც მეცადინეობენ თავისუფალ დროს სხვადასხვა საგნებში.

სამხკორი ნიკა.

### მოგვეცით მაზარა

**6 სე ლეგიონი.**

ლეგიონის საკომენდანტო ოცეულში არიან ამა წლის მაისში გამოწვეული არმიელები, რომლებიც აქამდე უმაზაროდ არიან. ხშირად გვიხდება საგუშაგოზე გასვლა ბლუზის ხამარა და მთელი ღამე სიცივეში დგომა. საჭიროა ვისაც ეს ეხება მოგვაქციოს შესაფერი ყურადღება და მოგვცენ მაზარები.

წ, არმ, ვასილ ფოცხიშვილი.

# წითელ არმიელთა წერილებიდან.

**მოგვეცით განათება.**

**1-ლი ლეგ. სკოლა.**

ორი თვე სრულდება მას შემდეგ რაც მოვთავსდით საზამთრო შენობაში და მას შემდეგ დღემდე არა გვაქვს ღამით განათება, რაც ძლიერ გვაბრკოლებს მეცადინეობის დროს. ღამით შეუძლებელია ჩვენთან რაიმეს წაკითხვა. ლენინის კუთხეშიც არა გვაქვს მეცადინეობის საშვალება. აქამდე არავითარი ზომები არ მიუღიათ ამის გარშემო ჩვენს უფროსებს. დროა მოგვაქციონ ყურადღება და მოგვცენ განათება.

წ. არმ. ზ—ძე.

### არა გვაქვს საათი.

**2-რე საკავშირო ასეული.**

ჩვენს ასეულში გვაქვს ერთი დამტვრეული საათი. ხუთი თვე იქნება რაც ის უწესრიგოთ მუშაობს, მაგრამ არ იქნა და არავინ ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას. ასეულის მორიგეები ვერ აწესრიგებენ თავის დროზე წ. არმიელების საგუშაგოებზე გაყვანას, რის გამო ხშირად იბადება უკმაყოფილება არმიელებში. ნუ თუ ასე გასჭირდა ერთი საათის შეკეთება? მოგვეცით კარგად მომუშავე საათი.

წ. არმ. ჭელიძე.

# ჩვენი ლეგსკოლის ცხოვრებიდან.

**მე-3 ლეგიონი.**

ორი თვეა რაც სკოლა შეუდგა საზამთრო მეცადინეობას. პირველ ხანებში გავდიოდით თეორიულ სამხედრო საქმეს, ამ ჟამად კი პრაქტიკული ხასიათის სამხედრო ცოდნას ვიძენთ, რაც კურსანტებს მეტად აინტერესებთ და კარგადაც ითვისებენ.

უმთავრესად გავდივართ სასროლო საქმეს, შეთვისება დამაკმაყოფილებელია. ბევრი დრო აღარ დაგვრჩენია კურსის დამთავრებამდე. პროგრამა თითქმის სრულიად განვლილია, ყველა საგნები კარგად შეთვისებული და იმედი გვაქვს მალე შესაფერი პოლიტიკური და სამხედრო ცოდნით შეიარაღებული მოვევლინებით ლეგ. ნაწილებს და ჩავებმებით ახალწვეულებთან მუშაობაში.

სამხკორი ნიკა.

# უსაათობა ხელს უშლის განწესებას.

**4-ე ლეგ. 2-ე ათასეული.**

2-ე ათასეულში არა გვაქვს საათი, რის გამო საგუშაგოზე გასვლა და ამხანაგების გამოცვლა ყოველთვის გვიანდება. ხშირად ყარაულის უფროსს სადგურში უხდება სიარული დროის გასაგებათ. სადგური კარგა მანძილით არის ჩვენგან დაცილებული და ეს კიდევ უფრო აფერხებს საქმეს.

ნუ თუ ასე გასჭირდა ერთი საათის შეძენა?

სამნეო ნაწილის უფროსმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და გვიყიდოს ერთი საათი, წინააღმდეგ შემთხვევაში არმიელებში უკმაყოფილებას ბოლო არ მოეღება.

სამხკორი მანთაშაშვილი.

# პარტიული ცხოვრება

**2-რე ლეგ. სკოლის კომუჯრედი.**

ჩვენი უჯრედი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს სხვა და სხვა ორგანიზაციებთან კავშირის აღდგენის საქმეში. ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, მოწვეული იქნა ბარცხანის მუშათა უჯრედთან ერთად გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრენ, როგორც აღნიშნული სამხედრო ისე სამოქალაქო ორგანიზაციების ყველა პარტწევრები და კომკავშირელები.

კრებამ მოისმინა მოხსენება წითელ ჯარსა და მის კავშირის შესახებ სამოქალაქო ორგანიზაციებთან. მომხსენებელმა ვრცლად განმარტა თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მუშაობაში ასეთ დაკავშირებას და სხვა.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება პოლონეთთან და გერმანიასთან საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ. განსაკუთრებით ვრცლად იქნა განმარტებული გერმანიასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება და როგორი შედეგების მოტანა შეუძლია მას საერთოდ. გაშუქებული იქნა ამხ. ჩიჩერინის მოგზაურობის მიზეზები ევროპაში და მრავალი სხვა.

უჯრედისა და მასთან არსებულ ლენინელთა კავშირის მუშაობა მეტად ნაყოფიერია ამ უკანასკნელ ხანებში მაინც. ჯგუფმა ამ რამოდენიმე დღის უკან მიიღო თავის რიგებში 9 ახალი წევრი. შემოტანილი აქვთ განცხადებები 32 უპარტიო ამხანაგებს.

პარტკორი შ. ხაჭაპურიძე.

**მე-6 ლეგ. მე-3 ათასეული.**

ჩვენი ათასეული წერტზე ჩასვლისთანავე შეუდგა პარტიულ მუშაობას. შესდგა პარტიისა და კავშირის გაერთიანებული კრება, რომელზედაც არჩეული იქნენ ათასეულის კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი და ახკომკავშირის ხელმძღვანელი.

გამოყვეს სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის დასაჭერად რამოდენიმე ამხანაგები.

ახალგაზრდათა კავშირი ამ ჟამად სწავლობს ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიას. კავშირის კრებები იმართება სამჯერ თვეში ხუთშაბათობით, ხოლო ერთხელ კი სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად.

უკანასკნელად მომხდარ პარტიულ კრებაზე მოსმენილი იქნა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, სადაც უმთავრესად გაშუქებული იქნა ლოკარნოს კონფერენცია და გერმანია—საბჭოთა კავშირის შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. 17 ოქტომბერს მოხდა აგრეთვე ათასეულის ახკომკავშირის პირველი კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენება ავსტრიის ახალგაზრდათა მოძრაობის შესახებ. კრებას უპარტიო ამხანაგებიც მრავლად დაესწრენ.

ვ. ვარდოსანიძე.

ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ წერილები ნაწილების ცხოვრებიდან.

# ახკომკავშირელთა შორის

**მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.**

ჩვენს სკოლაში კომუნისტური კავშირის უჯრედი არსებობს 1921 წლიდან და აი ამ ხნის განმავლობაში მას უხდება მუშაობა ჩვენი კომუნისტური კავშირის გაჯანსაღების და მის კომუნისტურ პრინციპებზე ჩამოყალიბებისათვის. პირველად ჩვენს სკოლაში არსებობდა ერთი უჯრედი, მაგრამ შემდეგში თანდათან უმჯობესდებოდა მდგომარეობა და კომკავშირი იზრდებოდა როგორც თვისებრივათ, ისე რიცხობრივად.

1924 წელში, ჩვენი სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის რიგებში ირიცხებოდა უკვე 420 წევრი, რის გამო ბიუროშ საჭიროთ სცნო ერთი უჯრედის მაგივრათ დაეარსებინა 5 უჯრედი: 3 უჯრედი იქნებოდა ასეულებში და ორი კი ცხენოსანსა და საარტილერიო განყოფილებაში.

უჯრედების დაყოფამ დიდათ გაუადვილა მუშაობა ჩვენს კავშირს. ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციამ შესძლო კავშირის წევრების ჩაბმა აქტიურ მუშაობაში.

არ არსებობს სკოლაში არც ერთი თვითმომქმედი ორგანიზაციები, რომ ჩვენი კავშირის წევრები მის გაჯანსაღების საქმეში აქტიურ მონაწილეობას, არ ღებულობდენ.

ჩვენი ორგანიზაცია შეფობას უწევდა სხვა და სხვა სოფლების ორგანიზაციებს ბანაკობის დროს და ამ ჟამადაც უწევს სათანადო ხელმძღვანელობას; უგზავნის ბროშურებს, ჟურნალებს, გაზეთებს, მოუწყო მათ ლენინის კუთხეები და სხვა.

კომკავშირი მჭიდრო დამოკიდებულებაშია სამოქალაქო ორგანიზაციებთან სახელდობრ მბეჭდავთა უჯრედებთან და აღერბეიჯანისა და სომხეთის სამხედრო სკოლებში არსებულ კომკავშირის ორგანიზაციებთან. კავშირის სათანადო ხელმძღვანელობას უწევს სკოლის კომუჯრედი.

ვ. ბერიძე

# წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა წითელ არმიაში.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას თუ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის საზოგადოთ, მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი წითელი ჯარისათვის.

წითელი ჯარის რიგებში წერა-კითხვის ლიკვიდაციის კამპანია უკვე დაიწყო. მთავარ პოლიტიკურ განათლებასთან უკვე მოეწყო „მწვევამდელთა და ცვალებად შემადგენლობაში წ.-კ. უცოდინარობასთან მებრძოლი სარესპუბლიკო კომისია“. ამგვარივე კომისიები ეწყობა აგრეთვე სამაზრო აღმასკომებთან და თემებში.

სარესპუბლიკო კომისიამ უკვე შეიმუშავა გეგმა მწვევამდელთა და ცვალებადელთა შორის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმის მოსაწყობათ. ამ მიზნით გადაწყვეტილია 15 ნოემბრამდე შეადგინონ ყველგან უცოდინართა სიები და გადაეცეს ეს სიები სამაზრო კომისიებს, უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებზე მისამაგრებლათ.

ამის შესახებ სათანადო განკარგულებები გასცეს მე-2 დივიზიის შტაბის, პოლიტგანყოფილების და ტერსამმართველოს უფროსებმა.

ამავე საკითხზე ცალკე ცირკულიარს დაუგზავნის ადგილებს აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

რადიო დეპეშები.

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

**მდგომარეობა გამოურკვეველია.**

სასტიკი ცენზურის გამო ძნელი გამოსარკვევია ფრონტების მდგომარეობა. ორივე მოპირდაპირე გამარჯვებულად სთვლის თავისთავს.

ჩინეთის ჯარები თავს იყრიან ტიან-ცზინის გარშემო, სადაც გადაგზავნილია 15 ჰაეროპლანი.

**ჩან-ძო-ლინის მოლაპარაკება ფინ-იუი-სიანთან.**

გაზეთების ცნობებით, ფინ-იუი-სიანმა და ჩან-ძო-ლინმა უკვე დანიშნეს წარმომადგენლები მოლაპარაკებისთვის, რომელიც მალე უნდა დაიწყოს პეკინში.

## ედო ფიმენის დევნა

ტრანსპორტელთა საერთაშორისო ფედერაციის მდივანი—ედდო ფიმენი, რომელიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ, სასტიკ დევნას განიცდის ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოთაგან. ბაზელში წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ მას აუკრძალეს შვეიცარიაში შესვლა. შემდეგ ლონდონში ბრამლის დასაფლავებაზე დასასწრებლათ ჩამოსვლისას იგი დაპატიმრებულ იქნა და გადაასახლეს საზღვარ-გარეთ.

ამ ჟამად გერმანიის მთავრობამ მას ნება არ მისცა გერმანიაში შესვლისათვის.

## საბჭოთა კავშირში

### მეორე საგლეხო სესხი.

მე-2 საგლეხო სესხზე ხელის მოწერის პირველი დღე მოსკოვში განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა. დიდი ინტერესი გამოიწვია სესხისადმი ფართე მოსახლეობამ. დღის განმავლობაში მიღებულ იქნა ხელის მოწერა ორ სერიაზე სულ 20 მილიონი მანეთის რაოდენობით.

### პარიზის კომუნის ვეტერანის ჩამოსვლა.

საფრანგეთიდან ზღვით ჩამოვიდა ნოვოროსისკში პარიზის კომუნის ვეტერანი—გუსტავ შნაუტ-შარი.

შნაუტ-შარს ნავთსადგურში შეხვდენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. მან წარმოსთქვა სიტყვა და გაუზიარა მოგონებანი კომუნის შესახებ. შემდეგ გამოვიდა შავიზღვის სანაპირო პროფკავშირთა ყრილობაზე, სადაც ის არჩეულ იქნა პრეზიდიუმის საპატიო წევრათ.

## უცხოეთის არმიებში

**საჰაერო ძალები ამერიკის საზღვაო ფლოტში.**

ადმირალი დჟონსის ცნობით, შეერთებულ შტატების საზღვაო ფლოტი აღჭურვილია აგრეთვე საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი საჰაერო ფლოტით.

კრეისერებზე იმყოფება 48 ჰაეროპლანი. 82 ჰაეროპლანები კი რომლებიც დაყოფილი არიან ესკადრილიებათ, რომლებიც მოთავსებული არიან სპეციალურად ამ მიზნით აშენებულ ავიობაზაზე. ყველა ეს ჰაეროპლანები არიან უახლესი ტიპის. ავიობაზებს შეუძლიათ მიიღონ 72 ჰაეროპლანები თითეულმა. მათი აშენებისათვის დახარჯული იქნა 8.900.000 გირვანქა სტერლინგი (1 სტერლინგი უდრის დაახლოებით ერთ თუმანს). რაც შეეხება საზღვაო ფლოტში დიდი დირიჟაბლების გამოყენების საკითხს პატარა ჰაეროპლანების მისაღებად, ამ საკითხს ადმირალი დჟონი ძლიერ ეჭვის თვალით უყურებს.

ყველაზე უდიდესი დირიჟაბლი, რომლის აგებაც არის განზრახული უდრის 140.000 კუბიკურ მეტრს და შეუძლია მიიღოს 10 ტონის რაოდენობის სამხედრო დატვირთვა, 4.000 საზღვაო მილის სამოქმედო რაიონში. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომელიც შეიძლება დაიბადოს დირიჟაბლზე ერთდა იმავე დროს რამოდენიმე ჰაეროპლანების გაშვებით და დატვირთვისაგან გამოწვეული სიმძიმის დაკარგვით.

ამას გარდა როგორც ადმირალი დჟონი ჰფიქრობს დირიჟაბლი იმდენად ძნელი მოსახმარი იქნება, რომ საეჭვოა გამოდგეს ის სამხედრო—საომარ მოქმედების დროს.

## ხელისუფლების მოღვაწეობა.

— **საქონლის შემოტანა.** ა. კ. სახკომსაბჭომ დაადასტურა შინ. ვაჭრობის კომისარიატის მიერ წარდგენილი გეგმა სხვა და სხვა ნაწარმოებთა შემოტანის შესახებ.

გეგმის თანახმად შემოტანილ იქნება 1 მილიონი ფუთი მავთული, 110 მილიონი ფუთი ასანთი, 600 ათასი რწყვილი კალოში და სხვა.

— **ამ.-კავკ. სახკომსაბჭომ** დაადგინა მოიწვიოს თათბირი ა.-კ. საგეგმო კომისიასთან, სასოფლო-მეურნეობისათვის სესხით დახმარების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

— **მონოპოლიის გაუქმება.** ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა გააუქმოს ნავთზე შემოღებული მონოპოლია და დაარსოს ნავთზე თავისუფალი ვაჭრობის უფლება.

— ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა დაარსდეს ა. კავკ. უმ. ეკონ. საბჭოსთან მეტრიული ზომა-წონის შემომღები ცენტრ. კომისია, ამასთანავე გადაწყვეტილია გაუქმებულ იქნეს ზომა-წონის მთავარი კომისია და ასეთივე კომისიები ცალკე რესპუბლიკებში.

## ამბები სოფლებიდან

— **სკოლის გახსნა** ოქტომბრის დღესასწაულებზე სოფ. ტყვიავში მოხდება გლეხკომის მიერ აგებული სკოლის საზეიმო გახსნა.

— **სესხი გლეხებს.** გორის მაზრის გლეხკომებს სესხათ მიუციათ გლეხებისათვის 4.126 ფუთი პური, 504 ფუთი ქერი და 1903 მანეთი ფულათ.

— **სიღნაღის მაზრაში** დაიწყო კამპანია გლეხებში ტყეების მნიშვნელობის შესახებ.

— **საკრედიტო ამხანაგობანი** აჭარის სოფლებში იხსნება საურთიერთო ნდობის საკრედიტო ამხანაგობანი.

— **ქვიშხეთის გლეხებმა** დაადგინეს უფასოთ გამოვიდნენ და იმუშაონ წყალსადენის მოწყობა შეკეთებაზე.

— **ახალი კოოპერატივი** სოფ. კიწიაში (სენაკის მაზრა) დაარსდა ახალი კოოპერატივი.

## ახალი ამბები.

— **საბინაო ამხანაგობებს** ტფ. აღმასკომის დადგენილებით სახლები იჯარით ეძლევათ 9 წლის ვადით.

— **ნავთის მოხმარება 1925** წლის განმავლობაში ცეკავშირმა საქართველოს პროვინციებს მიაწოდა 320 ფუთი ნავთი.

— **სანიმუშო საფუტკრე** მიწ.-მოქ. კომისარიატს განზრახვა აქვს მოაწყოს რამოდენიმე საცდელ-საჩვენებელი საფუტკრეები.

— **გოგირდის შემოტანა** ა.-კ. კოოპ. კავშირს განზრახვა აქვს შემოიტანოს საზღვარ გარეთიდან მიმდინარე წლის განმავლობაში 250 ტონა გოგირდი, რაც დაჯდება 30.000 მან.

— **სიმინდის გატანა** ა.-კ. კოოპ. კავშირი ფიქრობს წელს გაიტანოს საზღვარგარეთ 10.000 ტონა სიმინდი.

— **უმაღლეს სამეურნეო** საბჭოს თამბაქოს ქარხნებში ამჟამად ითვლება 1100-მდე მუშა-მოსამსახურე.

## პასუხი შეკითხვებზე

**კითხვა.** 1924 წ. მაისში გამოწვეულებს ყველას გაანთავისუფლებენ თუ არა 1 დეკემბრამდე?

**პასუხი.** გაანთავისუფლებენ ყველა იმათ, ვინც კი ჩამოთვლილია კ. წ. დ. არმიის ბრძანებაში № 375.

**კითხვა.** წ. ა., რომლებიც უვადო შვებულებაში წავლენ 1 დეკემბრამდე, მიეცემათ თუ არა მათ თბილი საცვლები?

**პასუხი.** ჯერ არ არის გამორკვეული.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა მეთაურმა იყოლიოს ნაწილის ეზოში ღორები?

**პასუხი.** არ შეიძლება.

**კითხვა.** პირველ დეკემბრამდე უვადო შვებულებაში მიმავალ წ. ა. მიეცემა თუ არა საზამთრო შლემები?

**პასუხი.** არა.

**კითხვა.** წ. ა. რომელი თვიდან ეკუთვნით საზამთრო და საზაფხულო ტანსაცმელი?

**პასუხი.** საზამთრო 1 ოქტომბრიდან და საზაფხულო 1 აპრილიდან.

**კითხვა.** ვარ გატარებული ბრძანებაში გადამწერის თანამდებობაზე. მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი!

გურგენაძე.

**პასუხი.** გეკუთვნით შტატით და გამოსწორებულ ცხრილის რაოდენობის მიხედვით.

**კითხვა.** ზედმეტ მსახურათ დარჩენილ უმცროს მეთაურს ეკუთვნის თუ არა საოჯახო ულუფა დედის და ობოლი ძმის და დისთვის?

**პასუხი.** ეკუთვნის მარტო დედისთვის. ძმას და დას არ მიეცემა.

**კითხვა.** ეხლა განთავისუფლებულთ და ზედმეტ მსახურათ დარჩენილ ათის თავებს მიეცემათ თუ არა ტანსაცმელის დარიგების დროს მაზარა?

**პასუხი.** არა.

**კითხვა.** რა განსხვავებაა კადრ ლეგიონების და ტერ-ლეგიონების ოცეულის მეთაურთა შორის?

**პასუხი.** არავითარი,

**კითხვა.** რამდენი კვადრატ ს ტარება ეკუთვნით კადრ-ლეგიონების და ტერლეგიონების ოცეულის მეთაურებს?

**პასუხი.** ყველას თითო კვადრატის.

## ნარევი.

### ვინ მოგვცა „ინტერნაციონალის" ჰიმნი.

კომუნარი პოტიე და მჭედელი გეიტერი.

„ინტერნაციონალის სიტყვები ეკუთვნის პარიზის კომუნის ერთერთ მებრძოლ ევგენ პოტიეს. მისი სხვა ლექსების შესახებ ბევრმა არაფერი იცის. უკანასკნელად მისი ლექსთა კრებული გამოსცა რუს. სახელგამმა.

„ინტერნაციონალის მელოდია კი (სიმღერა) მისივე თქმით შექმნა მჭედელ ადოლფ გეიტერმა. ის შთამომავლობით ფლამანდიელია, ქალაქ ლილიდან (ფრან. ფლამანდრია).

აი რას გვიამბობს ამის შესახებ ვიღაც ბერგი, რომელიც ერთ დროს იყო ლილის გუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელი:

გეიტერმა ძლიერ ადრე გამოიჩინა მუსიკალური ნიჭი. მთელი ლილის მცხოვრებლები მღეროდენ ამ „გიგანტ გეიტერის მელოდიებს". ხშირად მისი მელოდიებს სახალხოდ ასრულებდა „მოხეტიალე მუსიკოსი" პიერ კასერი.

— ერთხელო-გვიამბობს ბერგი, ჩემთან მოვიდა ჩემი მეზობარი დელორე და წაიკითხ პოტიეს ლექსები (ის ძლიერ ღელავდა), რომელთა შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი.

— შენ გესმის,—სთქვა მან: —ეს ჰიმნია, ეს უნდა იმღეროს კაცმა! მაგრამ როგორ?

მე ამის შემდეგ ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ და იმ წამსვე გავიქეცი ვალანსიეს ქუჩაზე ადოლფთან. მე ვსთხოვე მას წაეკითხა „ინტერნაციონალი". მან დაიწყო თავისთვის ხმადაბლა კითხვა, და როდესაც დავიდა „ეს არის ჩვენი უკანასკნელი"—სიტყვებამდე, დაიწყო თავისთვის რაღაცის მღერა. შემდეგ წაიკითხა უკვე ხმამაღლა და ეს სიტყვები სიმღერით განიმეორა.—სწორედ ეს არის ამ სიტყვების ეხლანდელი მელოდია.

— მე ვგრძნობდი—ამბობდა ბერგი—რომ ის წუთს უკეთესი იყო წავსულიყავი მე მივედი მეორე დღეს. ადოლფმა უხმოდ აიღო მილი და დაუკრა... ...მე ვნახე! და თავის დღეში აღარ მინახავს ამის მსგავსი რამ.

გადიოდენ წლები. გეიტერი განაგრძობდა მჭედლობას ვალლეტის სახელოსნოებში. მოულოდნელად გიმნზე ავტორის პრეტენზიეები წამოაყენა „მოხეტიალე მუსიკოსმა" პიერ კასერემ.

ამავე დროს გეიტერის ცოლი მძიმე ავად შეიქნა, გადაეცვალა დედა. ყველა ამან ძლიერს მოსტეხა ადოლფ გეიტერი, მან დაიწყო ლოთობა. შემდეგ ასტყდა ომი. გერმანელებმა დაიკავეს ქ. ლილი. ადოლფ გეიტერი დარჩა უმუშევრად და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ჩამოიხრჩო თავი.

აი ვინ ყოფილა ამ უდიდესი გიმნის შემქმნელი.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ.** ამხ. თავაძეს, ვაშაკიძეს და როსნაძეს, თქვენი ლექსები: „წითელ მეომარს", „ოცდა ხუთი ოქტომბერი" და „ფიცი მხედრული" არ გამოდგა.

**ამხ. გ-ძეს** (1-ლი საარტილერიო) თქვენი წერილი „ვენერიული ავადმყოფობის გავრცელების შესახებ, გადაეგზავნა პირველი დივიზიის სან ნაწილს.

**ამხ. მუხლელს** (2-რე დივიზ. შტაბი) კორესპონდენცია „წესრიგია საჭირო" ძლიერ წვრილმანია. არ გავა.

**ამხ. დარჯანიას.** თქვენი კორესპონდენცია „საჭიროა ყურადღება" გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის რედაქციას".

**ამხ. დეისაძეს.** თქვენი წერილი „ჩვენ ექიმებს სძინავს" გადაეგზავნა ლეგიონის მთავარ ექიმს საჭირო ზომების მისაღებათ.

**ამხ. ჯავახელს** ლექსი „საველე ქვემეხი" სხვისაა, არ დაიბეჭდება.

**ამხ. დათაშვილს** თქვენი წერილი „ოზურგეთის მაზრა", გადაეგზავნა გაზ. „სპარტაკის" რედაქციას.

**ამხ. ანდროშკილს** თქვენი წერილი გადაეგზავნა გაზ. „კომუნისტის" რედაქციას.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.